ხელშეკრულება № 29
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ბოლნისი 2019 წლის 18 აპრილი

ერთის მხრივ, შპს "საფეხბურთო კლუბი სიონი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 225376189) წარმოდგენელი დირექტორის გიორგი გიორგელიძის სახით, (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და მეორეს მხრივ, ი/მ ი/მ დავით არენიძე (ს/ნ 10001016160) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის მეთოდით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საკანცელარიო საქონელის მიწოდება; (CPV კოდი: 22800000; 30100000). /ჩამონათვალი და რაოდენობები იხილეთ დანართი 1-ში./

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 143,00 (ასორმოცდასამი) ლარს. /ერთეულის ფასი იხილეთ დანართი 1-ში./
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;ბ) საქონლის მიწოდებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მისაწოდებელი საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია: ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.4 მიმწოდებელი ვალდებულია:ა) მიაწოდოს საქონელი კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისი მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 8.2 პუნქტში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, წარმოდგენილი მირება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ 10 საბანკო დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;
6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განახორციელებს და შესაბამისად მიღები ცაბარების აქტს ხელს მოაწერს შპს „საფეხბურთო კლუბი სიონის „ ლიცენზირების მენეჯერი პაატა აბულაძე.

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებელი შემსყიდველს მიაწვდის საქონელს დაკვეთის შესაბამისად და წარუდგენს საქონელის მიწოდების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტს.

8. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მისამართზე ქალაქი ბოლნისი. სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N 99.
8.2. საქონელის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 20 აპრილამდე.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

„შემსიდველი" „მიმწოდებელი"

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
10.5. ხელშეკრულების 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მარა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ძალაშია ხეშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 2019 წლის 31 ივლისამდე.

შემსყიდველი:
შპს "საფეხბურთო კლუბი სიონი" (ს/კ: 225376189) ფაქტობრივი/იურიდიული მისამართი: ქ. ბოლნისი. სს. ორბელიანის ქ. №115. სს 'საქაართველოს ბანკი" , ბ/კ LBRTGE22. ა/N GE23BG0000000131440731.

მიმწოდებელი:
ი/მ "დავით არსენიძე" ს/კ 10001016160. ქ. ბოლნისი . სულხსნ საბა ორბელიანის ქუჩა N99. სს "ლიბერთი ბანკი" ბ/კ LBRTGE22. ა/ა GE77LB0112130096233000.

შპს "საფეხბურთო კლუბი სიონი" **ი/მ "დავით არსენიძე"**

დირექტორი
გიორგი გიორბელიძე

Georgi Giorbelidze
Digitally signed by Georgi Giorbelidze
Date: 2019.04.18 17:42:48 +04'00'

Davit Arsenidze
Digitally signed by Davit Arsenidze
Date: 2019.04.18 16:21:47 +04'00'

„შემსიდველი“ „მიმწოდებელი“

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი	დასახელება	განზომილ ერთეული	რაოდენობ ა	ერთეული ს ფასი	საერთო ფასი
1	22851000	საბუთების ჩასაწყობი	ცალი	5	6,00	30,00
2	22851000	ბაინდერი	ცალი	12	2,5	30,00
3	30192000	ბეიჯის თასმა	ცალი	40	0,6	24,00
4	30197120	ჭიკარტი	ყუთი	10	0,5	5,00
5	22852100	ფაილები	შეკვრა	6	4,00	24,00
6	30192121	კალამი	ცალი	28	0,50	14.00
7	22816300	ჩასანიშნი ფურცელი	ცალი	2	3,00	6,00
8	30197320	სტეპლერი N10	ცალი	2	3,00	6,00
9	30197130	სარჭი	ცალი	10	0,40	4,00
		სულ ჯამი				**143.00**

შპს "საფეხბურთო კლუბი სიონი"
დირექტორი
გიორგი გიორბელიძე

ი/მ „დავით არსენიძე"

Georgi Giorbelidze
Digitally signed by Georgi Giorbelidze
Date: 2019.04.18 17:43:31 +04'00'

Davit Arsenidze
Digitally signed by Davit Arsenidze
Date: 2019.04.18 16:22:12 +04'00'

---------- ----------

„შემსიდველი" „მიმწოდებელი"

„შემსიდველი“

„მიმწოდებელი“